ზონდო მაცაბერიძე

# სოფელი
# სამსოკოთა

ზაკმი
2006

რედაქტორი: რუსუდან მოსიძე

© გამომცემლობა — ბაკმი
© ბონდო მაცაბერიძე — სოფელი სამსოკოთა (ზღაპარები)

ISBN 99940-27-67-0

© წიგნის გამოცემის ყველა უფლება ეკუთვნის გამომცემლობას.
ყველა საავტორო უფლება დაცულია.
© Copyright. All right reserved.

საქართველო, თბილისი — 2006 წელი

# სარჩევი

სოფელი სამსოკოთა;
წვიმის ზღაპარი;
ზღაპარი პეპელა პეპელათარზე და
გვირილა გვიმარისზე;
იყო შაშვი მგალობელი;
ზღაპარი თევზისა, თუ როგორ
ასწავლა სოფელს შრომა.

# სოფელი სამსოკოთა

სამსოკოთა, ერთი ბებერი მუხის ძირასაა გაშენებული. სოფელში სამად-სამი სოკო დობილი ცხოვრობს. სოკოებმა სოფელს სახელი თავად შეარქვეს და თავადვე განაგებენ მის ავ-კარგს.

სოფელს სახელდახელოდ არავინ სტუმრობს. გზასაცდენილი მწერ-ჭიანჭველა თუ ჩაუვლის სოკოების ეზო-ჭიშკარს დროდადრო.

ძალზედ კი სწუხან სოკო დობილები არავინ გვსტუმრობსო, მაგრამ რა ჰქნან?

სოკოები დილით ადრიანად იღვიძებენ და თავიანთი საოჯახო საქმეებით ისე არიან დაკავებულები, რომ შუადღემდე კაცი მათ ბუსუნს ვერ გაიგებს.

აქეთ, სახლის დაგვა-დასუფთავებაო, იქეთ, სადილ-სარეცხიო. ცოტაოდენი დრო საკუთარ თავსაც ხომ უნდა დაუთმონ?!.

მოკლედ, ასეთ ფაციფუცში მოიშუადღევებენ დღეს. ნაშუადღევეს კი, იცოცხლე — ისეთ ჭორჭრიჭინს გამართავენ ერთმანეთთან, მუხას პირდაპირ მოსვენებას უკარგავენ.

რამდენჯერმე ჩასძახა მუხამ სოკოებს,

— რა დღეში ხართ, თქვენ მანდო?!

მაგრამ რა?!

მათაც იმდენჯერვე წაუყრუეს, ვითომცდა, აქ არაფერიო.

და აი, ერთ დღეს, მუხამაც:

— აბა, ახლა მიყურეთაო, - თქვა და დაუშინა და დაუშინა რკოები სოკოებს ზემოდან.

მაშინ კი ეტკინათ სოკო დობილებს. ეტკინათ და მორთეს ტირილი. იმდენი იტირეს, იმდენი, ლამის გულები ამოიგდეს.

... როდის როდის გაისუსნენ. მერე ძალზედ იწყინეს კიდეც. ჰოდა, ადგნენ და სამუდამოდ გაებუტნენ მუხას.

მხოლოდ ერთხელ გადაულაპარაკეს ერთმანეთს;

აწი აქ აღარ გვედგომება, უნდა ავიყაროთ აქედანო.

ეს იყო და ეს. მას უკან ხმა აღარ გაუღიათ.

მაშინ კი დაიმორცხვა მუხამ, შეწუხდა ძლიერ. განაწყენდნენ რკოებიც — ეგ არ უნდა გვექნაო!..

დღის ბოლოს, მზის მიმქრალობისას, მუხამ ფოთლებს ხელი მოხვია და სოკოებს თავზე წააფარა, დილით, ცვარიანზე არ შესცივდეთო.

არც ამჯერად გაუღიათ ხმა სოკოებს. გაბუსხულები იდგნენ ღამით სიჩუმეში...

დილით, სისხამზე ჩახედა მუხამ სოკოებს და ფოთლები ფრთხილად ააცალა. მაგრამ მოხდა საოცარი რამ; სოკოებს მთელი ღამე იმდენი ეტირათ, იმდენი, სულ ცრემლებად ჩაღვრილიყვნენ მიწაში.

მუხა დიდხანს იდგა დარცხვენილი. მერე ისეთი ძალით ამოიმწუხრა, რომ მთელ ხეობას მოჰფინა ყვითელი ფოთლები...

მალე ზამთარი დადგა.

ერთ სუსხიან დილით ტყიდან ნაჯახის ხმა მომესმა. დავინახე, თუ როგორ დასცეს ხის მჭრელმა კაცებმა ბებერი მუხა ძირს, როგორ დამორეს და როგორ ამოუყვნენ გზას ურმით სოფლისაკენ.

ზამთარმა დიდხანს გასტანა. მხოლოდ აპრილის მიწურულს მომიხდა სამსოკოთასკენ გავლა.

თვალს არ დავუჯერე; ასობით პატარ-პატარა მუხის ნერგს ამოეყლორტა ბებერ ნამუხარზე.

იქვე ერთმა ბეღურამ ისიც მიამბო:

თურმე, იმ ღამით, რკოებსაც ისე ემწუხრათ და იმდენი ეცრემლათ, რომ თავადაც ცრემლებად ჩაჰყოლოდნენ მიწაში სოკო დობილებს...

ახლა კი დგანან და გაფაციცებით ელიან თავიანთი მეგობრების - სოკო დობილების მიწიდან ამოსვლას.

ბავშვებო, სოკო რაჭაში ივნისის თვეში ამოდის. თქვენც ხომ მაშინ გეწყებათ საზაფხულო არდადეგები საბავშვო ბაღებსა და სკოლებში? ჰოდა, ჩვენც სწორედ მაშინ ვეწვიოთ სოფელ სამსოკოთას.

აი, მერე კი ვნახოთ, როგორღა იტყვიან სოკო დობილები, არავინ გვსტუმრობსო...

## წვიმის ზღაპარი

ასე მოხდა;

ჩემს სოფელში ყოფნას წვიმიანობა დაემთხვა. თქვენი სათქმელი რარიგ ვთქვა და, ასეთი წვიმიანი აპრილი, დღემდე არ მახსოვს. მოუღია ცას, ა, ააამოდენა ხახა და ასხამს და ასხამს.

სოფელი კარში გასვლას ნატრობს, ჩიტები, ბუდის გაწყობას, ხოდაბუნები, — კავ-გუთნეულის გამართვას.

აგერ, უკვე მერამდენე დღეა დაავლებული ვზივარ ფანჯარასთან და ჩაქანცული მზერით გავყურებ სოფლის შარაზე ცის გუბეებად ჩამოქცევას.

ჩანს, წვიმამ თავისი იცის. ჰოდა, რადგან ღრუბლებს საიქეთო პირი არ უჩანს, მეც ავდგები, ზურგზე ზღაპრების ცარიელ გუდას მოვიგდებ და ჩვენს ნაცნობ მოხუც ცოლ-ქმარს მივასტუმრებ. იქნებ, ერთი ზღაპარი კიდევ გვიამბონ...

აი, ეს ზღაპარიც:

ჭიანჭველა იყო ერთი, სახელად — ჭოჭრომელი. ხელმარჯვე, მუყაითი და მშრომელი. სახლი ედგა ეზო-კარის, მოსავალის ედგა ხვავი.

ამბობენ, მდიდრებს, კაკლის ცარიელი ლენჯოც ემწირებათ საბუხრედო. აი ეს, აქ არ ითქმოდა!

ჭოჭრომელი ყველასათვის ხელგამწვდენი და კეთილმოწყალე იყო. ცისიერზე ჩადგებოდა ბეღლის ღია კარში და ყველას თავისთან უხმობდა: წაიღეთ, წაიღეთ, დაპურდით, დაამაძღრეთ ჩვილ-ობლებიო.

აჰა, უმაქნისსა და ხელსუპყართ სხვა რაღა უნდოდა? მთელ დღეებს ჭოჭრომელის ბეღლის კარზე ტრიალებდნენ ცარიელი ტომრით ხელში...

აგე,

უფსკერო და უძირო რო არაფერია ამ ქვეყნად?!

აკი, ჭოჭრომელის ბეღელიც ისე სწრაფად ჩაილია და გამომარცვლდა, როგორ სწრაფადაც აპირთავდა და გაიტისნა ბეღლის კართან მდგარი ტომრები...

*

დრო თავისას შვრება. უფრო მეტიც, ისე სწრაფად გადის, ხშირად კიდეც გეჩვენება, საათის ისარი გულისცემას დასჯავრებიაო.

და მაინც, ყველაზე სწრაფად ჭოჭრომელისთვის გავიდა დრო. იგი გვიან ჩააფიქრა იმან, რომ ისე ჩაიარა შემოდგომამ, მეზობლის სტუმარ-მასპინძლობა იქეთ იყოს, გზიდან ეზოშიაც არავის გადმოუხედავს.

თანდათან (აკი, ჭოჭრომელის კიდეც სცხვენოდათ), ჩიტებმაც იწყეს გამომარცვლული ბეღელის მიტოვება, - ნახეო, — სთქვეს, — სამ-ოთხ წვეთ წყალს ძაბრის ყელიც კი იზოგავს სამერმისოდო, — ადგნენ და იქაურობა გაბუსხულებმა დატოვეს.

მთის მწვერვალებიდან შემოდგომის ქარებს დამაყრებული ზამთარი, ისე ურცხვად და გაფოთებით მოიწევდა ბარისკენ, ვითომცდა, ქერ-ხორბლით სავსე ჯალდანის ჩამოდგმას ეჩქარვის ეზო-ეზოო.

კი, აბა?! თოვლი, სიცივე, ყინვა, შიმშილი... აი, ზამთრის სიავკაცე ჭიანჭველასათვის. თავთავიანთ სადგომში გამოკეტილს, სულ კაკალ-კაკალ ჰქონდათ გამოთვლილი გაზაფხულამდე სამყოფი მარცვალი. თუნდაც ხელმარით რომ მიგეტანათ მათთვის მოსაკითხი და ხმის ჩაქცევამდე გეძახათ, მაინძელო, მაინძელოო! კარში არავინ გამოგხედავდათ. თბილ ღვერფლში ჩაცვენილთ ცალი თვალი მუდამ ჭუჭრუტანაში ჰქონდათ გადგმული და მიწას თავთავიანთ წილ თვალის სითბოს მატებდნენ გაჯიუტებული თოვლის გასალღობად.

*

ახლა, როცა ზამთარი სახლის ფანჯრებს ყინვის თითებს უფხაჭუნებდა, ჭოჭრომელს აღარაფერი ჰქონდა სხვათათვის მისართმევ-მოსაკითხი. უფრო მეტიც, ეზოში აკაბაკა მოხელისგულებულ ხორბლის მარცვლებს (მეტწილს, ალბათ — ფშუტეს!), ექვსი, ჰა, ჰა, შვიდი დღე თუ იკმარდა.

ჭოჭრომელი იმათ არ ეკუთვნოდა, ვისაც თავიანთი სიზარმაცითა და უპოვრობით საკუთარი სტომაქის ამოსავსებად კარიდან-კარზე სიარული რომ შეეძლო და გამომწირული ლუკმით მოლოდინში მასპინძლის წინაშე თავი მაიმუნად ექცია.

არადა, რამდენი სასაცილო რამ ამბის გახსენება (ან მოგონება) გჭირდება მასპინძელს ხასიათი რომ აუწყო, სულაც — გამოუკეთო, გააცინო, გაამხიარულო. შიგადაშიგ ჩააფიქრო, დაადარდიანო კიდეც. მერე, ისევ გაახალისო, გაამხიარულო, თან თვალი ოჯახის დიასახლისზე (უფრო სწორად — თახჩაზე), უნდა გეჭიროს იმ მოლოდინით, რომ აგერ ახლა ადგება, თახჩის კარს გამოაღებს, სუფრას გაშლის და ოჯახის წევრებს ვახშმად მოიხმობსო. რა თქმა უნდა, ერთ ჯამს შენთვისაც დადგამს და პირძვირი ღიმილით სუფრასთან შენც მიგიპატიჟებს. აქ კი, ცოტა ფრთხილად უნდა იყო. ზედმეტი თავაზიანობა არ ივარგებს და უარი იმ მიჯნამდე უნდა თქვა, რომ შენი სტუმრობით ისედაც გამწყრალ მაინძელს არ ათქმევინო, — კაი აბა, ჩემო იმანოო, - და კარი ცხვირწინ არ მოახურვინო.

რას, რაღას შვრები მერე? ვის მიაკითხავ ამ შუაღამისას კარზე? ახლა ისე გვიანაა, მეზობლის ჭიშკარი ნავთსა და ცეცხლს რომც მისცე, მის ჩასაქრობადაც შინიდან ფეხს არავინ გადმოდგამს, თორემ რომელ შენს მოპატიჟებასა და ვახშამზეა საუბარი?!.

წადი ბაბა აწი შინ, ჭიაყელასავით მოკრუნჩხული უსიტყვოდ მიეგდე შენს საწოლზე და უჭმელობით გამოლასტულ კუჭს, ეგების დილამდე სული მიატანინო.

— არა, რას ამბობ?! ღმერთმა დამიფაროს — (შენ ამბობ), — ტყუილად ვიმაიმუნე და ვიჯამბაზე მთელი დღე მასპინძლის წინაშე?!

— ამიტომ, შენც სწრაფად ადექი, სმენა გაიყურსე და მასპინძელზე ადრე მიუჯექი სუფრას. მერე და მერე სმენის გაყურსვასთან ერთად, თვალის დახუჭვაც მოგიწევს ერთი-

ორჯერ. არ დაგინახავს, არაფერი შეგიმჩნევია, მაშინაც კი, როცა ოჯახის დიასახლისი უპრაკუნოდ წაჰკრავს (იენზე გამწყრალი) შვილს თავში, — ადექი, შეშა დაჩეხე და ბუხარს შეუკეთეო! (შეშა, ბარე ორი დღის საკმარი აყრია ბუხარს). ბავშვი ისეთი მადით აკნაწუნებს ხორბლის მარცვალს, დედის წყრომას ყურადღებას არც კი აქცევს. (ეჰ, შიმშილს რა ვუთხრა, თორემ დედის ასეთ წათაქილზე, ბავშვი ღრიალით ჭერს უნდა იკლებდეს!).

შვილის ჩუმათობაზე გამწყრალი, ახლა უფრო მაგრად წაჰკრავს შვილს (შენის გამოისობით!), — აი, გაგისკდა ეგ მუცელი, ადე, ხბო გადააბიო!

— რა უნდა, ქალო ხბოს ამ ყიამეთში გარეთო?! — ხომ უნდა გაწყრეს და აღელდეს წესით ოჯახის უფროსი ქალის ასეთ საქციელზე? მარა...

ეჰ, რაც არის, არის. შენც დანაყრდი და დღევანდელმა დღემაც ჩაიარა. ხვალისა კი, ხვალემ იკითხოს.

*

აი, ეს დღევანდელი და ის ხვალინდელი დღე ჭოჭრომელისთვის აგრერიგ რომ არ დადგეს, ისიც ადგა, სახლის კარი საიმედოდ გადარაზა და დილაადრიან, ვინემ სოფელი ძილიდან გამოერკვეოდა, ბედის საძებრად გზას გაჰყვა.

იარა ჭოჭრომელმა, ბევრი თუ ცოტა, ერთ გამოფუღრულ ხეს მიადგა. შეჰყო თავი ფუღუროში. მიმოათვალიერა სადგომი. დაიგულა რაკი თავისად, მზერას ტანიც მიაყოლა და შიგ შევიდა. შორით ნავალმა მოსვენება სცადა. აკი, მიწვა კიდეც იქვე. უცებ, ფუტკრის ბზუბზარაკა ხმა მოესმა. ჭოჭრომელი სწრაფად წამოდგა, — სახლებულან აქაცო, — თქვა და გზად გაბრუნდა.

— ჭოჭრომელ შეჩერდი, აქეთ, აქეთო! — მიაძახა ფუღუროს სიღრმიდან ფუტკარმა. ჭოჭრომელი შეჩერდა, პირი ფუღუროსკენ იბრუნა და იქაურობას თვალი გულდასმის მიმოავლო.

— მე, ფიფი მქვია, — უთხრა ფუღუროს მეორე კიდეში მყოფმა ფუტკარმა და თვალისწამში ჭოჭრომელთან მობზარაკდა.

— მე კი, ჭოჭრომელი. თუმცა, შენ ხომ იცი ჩემი სახელი, საიდან? — ჰკითხა.

— ვიცი და ეგა?! აბა, მკითხე რამდენჯერ მიგემია შენი ეზოს ყვავილთა ნექტარი...

— აქ მარტო რად ხარ, თქვენები სადღა არიანო?

— აი, იქაო, — ფიფიმ კუთხეში მდგარ სკას გახედა, — სძინავთ, რაც მთაზე თოვლი ჩამოდგა, მას აქეთო.

ეგ ჭოჭრომელს არ სმენოდა, - რა დროითო? - ჰკითხა.

— დიდი ხნითო, — ფიფიმ, — ვინემ, მინდვრად ყვავილები მუხლს არ გაიდგამენო.

— შენაო?

— მეცო. ასე, ჯამ — ჭურჭელი მივალაგე, შვილ-მონაგარიც სულ აქ მყავს, ჰოდა, ავდგები და მეც არიდარად დავიძინებ. შენა, აბა ერთი აქეთ მოდი, — ფიფიმ ჭოჭრომელს ხელი ჩაჰკიდა და ბუჯერზე შემომდგარ თიხის ქილებთან მიიყვანა, — აქ, თაფლია, აქ კიდევ — ფიჭა. თითო — ორში, პურის მარცვალიც დგას. წელს ზამთარი დიდთოვლობას ჰპირობს, გარედ გასვლას დაუფრთხილდი. მზერა დილიდანვე კარში გადგი. ვინიცობაა, მშიერს, სულაც — შეციებულს მოჰკრა თვალი, — შინ მოუხმე, უმასპინძლე, დასვი პურად. გვიანი დროით ნუ გაუშვებ. გახსოვდეს; ყველა გზა მზით დაიწყე და მზითვე დაასრულე...

ჩანდა, ფიფი კიდევ კარგა დროით აპირებდა სტუმართან ყოფნას და, ბევრი რამ ამბის თხრობას, მაგრამ ისე სწრაფად მიყურსავათდა, რომ დარჩენილი სათქმელი ზამთრის ძილით ჩაანაცვლა...

*

მეორე დილით მზემ ინათა თუ არა, ჭოჭრომელმა კარს მიაშურა. ვინემ მიწას თოვლი სულ არ დაჰფენოდა, ჭოჭრომელმა ხის გარშემო საბაღე ადგილი მიმომტკავლა, ბარ-თოხი აიღო და, რაც კი მინდვრად ყვავილები ეგულვოდა, მათ ბაღში გადმორგვას შეუდგა...

ოფლს ოფლი ემატებოდა, დღეს დღე, ყვავილს ყვავილი: იას-ენძელა, ენძელას-ზამბახი, ზამბახს — გვირილა, ფურისულა, ყოჩივარდა, შროშანი (მოდით, ნუღარ ჩამოვთვლით, თორემ ერთი მათგანიც რომ გამოგვრჩეს, ხომ იცით, ყვავილებმა როგორი გაბუტვა იციან). ჭოჭრომელის ბედად, ისე გავიდა ზამთარი, ცას მიწისკენ თოვლის ფანტელიც არ დასცდენია. ხოლო, მიწა - გულის იმედნეულ სითბოს აგებებდა ყვავილის თითოეულ ძირს.

მიილია თებერვალი. იმარტა. ბაღში გაშლილ კოკობზიკა ყვავილებს მოუსვენრობა დაეტყოთ. აკი, სთქვეს კიდეც, — დღესაც ვაცალოთ, და თუ ხვალ არ გაიღვიძეს, ნახონ; ისეთი სურნელი მივუფრქვიოთ ფუტკრების კარს, სულ თავაწყვეტით მობზარაკდნენ ჩვენკენო!...

*

ხვალინდელი დღისა რა გისხრათ. არ ვიცი, მართლა გაიღვიძეს თუ არა ფუტკრებმა იმ დილით, და არც ის ვიცი, თუ როგორ შეხვდნენ ჭოჭრომელი და ფიფი ერთმანეთს, რადგან დილით, ჩვენთან — სოფელშიაც გამოიდარა და მზეს დანატრულმა მოხუცმა ცოლ-ქმარმა, ისე უმალ დაავლეს თავთავიანთ სამუშაო იარაღებს ხელი და ისე სწრაფად გავიდნენ ყანაში სამუშაოდ, რომ ეს ზღაპარი, არც კი დაგვისრულეს.

ეგ არაფერი.

იცით რაა, ბავშვებო?

მოდით, მეც ამ ფურცელზე ცარიელ ადგილს დავტოვებ და ჭოჭრომელისა და ფიფის შეხვედრის ამბავი ყველამ ისე დაწერეთ, როგორადაც თქვენ წარმოგიდგენიათ. მოხუც ცოლ-ქმარს თუ ჰგონია, რომ თქვენ ზღაპრის წერა არ იცით, იმასაც ვნახავთ!

აი, ეს ცარიელი ადგილიც:

«.....

«

და კიდევ;

რომ დაწერთ, აუცილებლად გამომიგზავნეთ, კარგით?

ჰოდა, როცა მოხუც ცოლ-ქმარს ახალ-ახალი ზღაპრის მოსათხრობად კვლავ ვესტუმრები, მათაც წავაკითხებ.

მომწერეთ, გელით...

# ზღაპარი პეპელა პეპლათარზე და გვირილა გვიმარისზე

პეპელაზე გიამბობთ, პეპლათარზე. კიდევ, მის დობილზე, გვირილა — გვიმარისზე.

წუთისოფლობდნენ დობილები იმედნეულად ერთი-ერთმანეთისთვის. მზეც ერთი ჰქონდათ და მთვარის ბაკმსაც ერთფრად მოიფრთახატულებდნენ.

პეპლათარი მეტწილს ცაში ატარებდა. თვითნებურად, როდი. გვიმარისი ეტყოდა; წადიო, ცისა გამოწვლილვე ამბავიო. მეო, მიწისას გეტყვიო.

წავიდოდა ისიც.

მოიღლიდა ფრთებს ფრენით და მაშინვე გვიმარისთან ბრუნდებოდა.

მისხდებოდნენ ერთი-ერთმანეთის გვერდით. იტყოდნენ აქეთ — იქეთურისას. პეპლათარი ცოტას მოიდაღლისებდა და კვლავ ცად წავიდოდა.

ნიავქარობას პეპლათარმა შეგვიანება იცოდა. ქარი თუ წაიღებდა შორი მინდვრით. მაშინ გვიმარისი მზერას ააცისზევითებდა და თვალდანატრული გაჰყურებდა ცას. ერთხელ, ლოდინით მოღლილმა ლექსიც კი შეუთხზა დობილს.

— ლექსის წერისა, მე რა ვიციო, ლექსმწერთ არა ნახონ, დამცინებენო, — დაიმორცხვა გვიმარისმა.

პეპლათარმა, რათა სხვასაო, და გვიმარისს ლექსი გამოართვა.

მთლად კარგი საქმე რომ არაა სხვათა ნათხრობთა კითხვა, ეგ თქვენც იცით, მაგრამ გვიმარისიც ხომ თქვენი ტოლაა და თქვენი თითოეული სიტყვის ამოპირთბაგებას რარიგ დაჰნატრიან თქვენი მშობლები, ეგაც კარგად მოგეხსენებათ. ჰოდა, აი ეს ლექსიც:

სიმართლე გითხრათ, აქედან მეც ვერ ამოვიკითხე თუმცა, მეგობრის გულის ნაამბობად, ეს ოთხი სტრიქონიც იკმარებს...

ახლა, სამწუხარი რამ ამბავი უნდა ვთქვა მათზე:

შუადღისპირს, როცა პეპლათარი ცაში იყო, გვირილა გვიმარისს ერთი ვინმე ფუტკარი ფუნთო წაეჩვია. ჯერ იყო და, ფრენდა ფუნთო გვიმარისის შორით. თითქოს, რაღაც საამო ხმაზედაც კი. მერე და მერე, ისე ახლოს ჩაუბზუბზარკა, გვიმარისს ყვავილის გვირგვინიდან სამი ფურცელიც კი წააცალა.

— ეგ საკარგოდ აქ არ მოვიდოდაო, — თქვა გვიმარისმა და პეპლათარს უხმო, — პეპლათარო, ჩქარა აქეთ, აქეთ, მომეშველეო!

ის იყო პეპლათარი მასთან გაჩნდა, რომ ფუნთოს გვიმარისის ნექტარი ფიჭის უჯრედებში მშვიდად გადაჰქონდა.

დაიმწუხრეს დობილებმა.

მიცუცქდნენ უხმოდ ერთი-ერთმანეთის გვერდით, იქვე მიწისპირად.

გვიმარისი იტყოდა მხოლოდ, — ეგ აქ, კიდევ მოვაო, — და გააბამდნენ დროდადრო ერთ ცრემლების წირპვლას.

და კიდევ;

თუმცა არა, არ ღირს მათ გულთამწუხრზე მეტად თქმა. აკი, დარდმა საბუდარში ჩაიხედა, კრუხს კვერცხი გაულაყდაო, ჰოდა, ჩვენაც აქეთისა ვთქვათ:

საღამოსხანობას დობილთ მოლაღურისა მოესმათ ხმა.

— კრიპ, წიპ, წიაპ. კრიპ, წიპ, წიაპ — წიაპებდა მოლაღური და ბუდიდან პირველჯერად ამომსხდარ ბარტყებს გვიმარისისა და პეპლათარის ცრემლთა მძივებს ჰფენდა ფრთებზე...

*

აქ, დღეც მიილია.

მინდვრად ჭიჭნობელთა მოისმა ჭრიჭინი.

გამოვიდა სკიდან ფუნთო. მიმოუფრინა გვიმარისს, არცთუ ისე შორით. მაგრამ,

რა და, მიუდევთ თავი დობილებს ერთი — ერთმანეთზე და წასულან ძილად.

ახლა, არცრა რიდი მართებს ფუნთოს მათი და, არცა რამ საშიშარი სჭირს...

«არაო, ფუნთომ, მთლად აგრე ხარბად არ გამოვა, მძინართ გულები რომ დაუსკდეთო... ჰო, ცოდონი კი არიანო, მაგრამ... ნექტარიც რომ მინდაო(..»

შედგა ფრთად. აიწია ცად. მოიმარჯვა ხორთუმი. სადაცაა ჩასცემს კიდეც მძინარს, გვიმარისს. ამოსწოვს, გაანექტარებს ყვავილს და, გაბრუნდება კვლავ თავის სკაში... მაგრამ, ეს ხომ წამდაუწუმ არ მოხდება, ერთჯერ, ორჯერ, ჰა — ჰა — შვიდჯერ. მერვედ, გვიმარისი იქ არ დახვდება. ჩახრის ისიც წყრომით თავს და, იტირებს. იტირებს ფუნთოს ავსაქმობას, უნექტრობას, უმწეობას იტირებს, იტირებს და მერე, თავისსავე ცრემლებს ჩაჰყვება მიწად. შეფიქრდა ფუნთო. მინდვრად კი ისმოდა ჭიჭნობელთა ჭრიჭინი. ჯეჯილიანიდან მწყერ — გნოლთა ფაცფაცი, სათიბებისა — ნიავთრხევა. მერე, გვიმარისის ფოთლებსაც დასწვიმა, თითქოს, ღია ციდანო. იქვე — პეპლათარსაც. კიდევ და კიდევ — მინდორთ, ბალახთ, მიწას:

წკუპა და წკაპი, წკაპი და წკუპი, წკუპა და წკაპი, წკაპი და წკუპი, დაჰფანტვიათ მოლაღურებს მინდვრად, დობილთ ცრემლთა წკლუპი...

და დილით, როცა ფუნთომ სკის ჭუჭრუტანიდან გვიმარის გახედა, ძალზედ კი გაჰკვირდა; გვიმარისისა და პეპლათარის ცრემლთანაღვარ მინდვრებს, სულ თეთრი-თეთრი გვირილები წაჰფენოდა!..

## იყო შაშვი მგალობელი

იყო და არ იყო რა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი-ო. აი, ამ სიტყვებით იწყებდნენ ზღაპრის თხრობას ჩვენი ბებიები და ბაბუები. მერე, ჩვენი მშობლები. ჩვენც ხომ ასე ვიწყებთ, როცა ჩვენს შვილებს ზღაპრებს ვუყვებით. განა ოდესმე გვიკითხავს ვინმეს, ვის, ან რას ეტკბილხმიანება ეს პატარა ჩიტი. იქნებ, სულაც არ ეგალობება მის პატარა გულს, იქნებ ეცრემლება და დარდს უხმობს.

მოდით, ბოლომდე ჩავიკითხოთ ეს ზღაპარი და ერთად შევიტყოთ ამ პატარა ჩიტის გალობის მიზეზი.

მაშ ასე, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. იყო ერთი ცელქი და თავნება ბაჭია. ცელქსა და თავნებას დედა ეძახდა, თორემ ბაჭიას თათინა ერქვა. მართლაც რომ ძალზე ცელქი და მოუსვენარი ვინმე კი იყო ეს ჩვენი თათინა! არც დღე იცოდა და არც ღამე. სულ ბაღ-ბოსტანში დაეხეტებოდა. არც მგლის შიში ჰქონდა და არცა მონადირის თოფს უფრთხოდა მაინცადამაინც. სწორედ ამიტომ, ბევრჯერ წაუბარტყუნა დედამ ყურებზე,

— რასაა სულ გარე-გარე რო დაეხეტები, ან შინ რა მოგაქვს, ან გარეთ რა დაგიკარგავსო?!

გაგიგიათ?!

თათინას ვერაფერი შეასმინა!

ჰოდა, ერთ დღესაც ადგა დედა და სულ კაკალ-კაკალ დაულაგა ხელისგულზე მამა კურდღელს თათინას ამბები,

— რა ვქნა, სულ აღარ ეყურება ჩემიო, — თქვა ბოლოს და ბუხარს მიაფიცხა ცრემლი და დარდი.

დიდხანს ისმინა და ითმინა მამამ შვილის აუგი. — უყურე მაგასო! — თქვა ბოლოს და დინჯად წამოდგა (ისე, როგორც მამებმა ვიცით ხოლმე), ასევე დინჯად გამოუწყო თათინას კარში ერთი კბილის გაკვერა სტაფილო, თითზე გადახვევა კომბოსტოს ფოთოლი და ოთახის კარი ცხვირწინ მიუკეტა, — ეგეც შენაო! — მიაძახა.

— მენა და მენაო, რა?! — თათინამ საგზალი ხურჯინში ჩაილაგა, კაბის კალთით კურცხალი მოიწმინდა და გზას გაუდგა.

შვიდი დღე იარა, შვიდი ღამე, შვიდი ბაღი გაიარა. შვიდი ბოსტანი. მერვე საღამოს, ერს გამოფუღრულ მუხას მიასტუმრა. ხურჯინი კუთხეში მოისროლა, ოთხად მოკეცილი ყურები თავქვეშ ამოიდო და მივიდად მიიძინა.

როგორ გგონიათ, რომელ მშობელს მოუცილებია შვილი თავიდან, თათინა რომ მოეცილებინათ. ასე მას ეგონა (წავალ, სამუდამოდ გადავიკარგები და ვეღარასოდეს მიპოვნიანო!), თორემ იქვე, სახლთან ახლოს, ღელის გაღმა დაიდო ბინა...

დილით, თათინა შაშვის გალობამ გააღვიძა. ისიც მკვირცხლად წამოდგა ფეხზე და კარში გავიდა.

— დილა მშვიდობისაო, თათინა, — მიესალმა შაშვი მუხის ტოტიდან.

— მშვიდობისაო, — მანაც, — ჩემი სახელი საიდან იციო? — ჰკითხა.

— შენ ვინ არ გიცნობს, შენ ხომ ცნობილი სტაფილოპარია და მაცაცერა თათინა ბრძანდებიო, - უთხრა შაშვმა.

— მერედა შენ ამით რა გაკლდებაო? — გაიბუსხა თათინა.

— არც არაფერიო.

— ჰოდა, ეგრე, სტაფილოც მიყვარს და კომბოსტოცო!

შაშვმა,

— გიყვარს და გქონდეს კიდეცო!.. შენ ის მითხარი, აქ ცხოვრება თუ მოგწონსო?

— დიახაცო.

— მაშინ, მომისმინე, — შაშვი ფრთების ფარფარით შემოჯდა ხის კენწეროზე და ისეთი ტკბილი გალობა გააბა, რომ მთელი სამყარო თვალისწამში სმენად იქცა.

სად იყო, შაშვს, ბულბული შეეხმატკბილა. ბულბულს — იადონი, იადონს — მოლაღური, ღაჟო, ტოროლა... ფრინველებმა მწყობრად შეუწყვეს ხმა და ისეთი ტკბილი გალობა გამართეს, რომ ირგვლივ მოთიბულ ყვავილებსაც კი დაუბრუნდათ სიცოცხლე. ყვავილებმა სწრაფად ჩაჰკიდეს ხელი ერთმანეთს და მინდვრებს ნარნარი ფრაფლანის მოეფინენ. მთავარი საოცრება კი მუხის ძირას ხდებოდა; იქ თავი მოეყარათ უამრავ ბაჭიებსა და ციყვებს, მინდვრის წრუწუნებსა და თხუნელებს, გულხატულა ჭიამაიებსა და ფრთაჭრელა პეპლებს... სტუმრებმა თათინა წრეში მოაქციეს, მერე ტაშმაც იხელისგულა და თათინამ ისე მკვირცხლად ჩამოუშუშპარა, ირგვლივ ყველა სიცილ — ცრემლად იქცა. თათინას თხუნელები, ბაჭიები, ციყვები შეემატნენ... ცეკვავდნენ, მხიარულობდნენ, მღეროდნენ. ზემოთ კი უსტვენდა ბულბული, ჭიოდა მოლაღური, გალობდა შაშვი, სამაიას ფარფატებდნენ პეპლები...

არ ვიცი დამიჯერებთ თუ არა, ის დღე იყო და ის, მას უკან თათინა ფეხის ნაბიჯზე არ მოსცილებია მუხას (საწანწალოდ სადღა ეცალა!). ისე შეყვარებია იქაურობა, ამბობენ, დილით, მანამ არ გამოჰყოფს ფუღუროდან თავს, ვინემ შაშვი არ უგალობებსო (სიყვარულმა ცოტა გაცუღლუტებაც იცის, ხომ იცის!), იმასაც ამბობენ, შაშვს მკაცრად დაურიგებია — თუ ცელქობას არ მოიშლი, იცოდე, არასოდეს გიგალობებო!

მასაც მტკიცედ გაუსავსავებია ხელი, - არა, რას ამბობო!

ბავშვებო, ხომ გახსოვთ, თათინას ეს ამბავი ადრიან გაზაფხულზე რომ შეემთხვა. მას უკან კი, ბევრმა წყალმა ჩაიარა. შაშვმაც ბევრჯერ უგალობა თათინას და, თქვენც ხომ ბევრი ზღაპარი გიამბოთ თქვენმა ბებიამ და დედიკომ (ბაბუებსა და მამებს ზღაპრის მოყოლა მაინცადამაინც არ გვიყვარს), ჰოდა, დიდი დროც გავიდა. გაზაფხულს, ზაფხული მოჰყვა. ზაფხულს — შემოდგომა. სადაცაა დაზამთრდება.

— რა ვქნათ ახლა?..

თათინას მშობლები ხომ იქვე, ღელის გაღმა ცხოვრობენ. ნუთუ მართლა ისე გაუნაწყენდნენ თათინას, რომ ამ ზამთარს გამოფუღრულ მუხის ამარად დატოვებენ?..

— არა, მოჰკიდებენ ხელს, შინ წაიყვანენ, საწოლს თბილ ბუხართან მიუდგამენ და გაზაფხულამდე გარეთ ცხვირს არ გამოაყოფინებენ.

— გაუძალიანდება? კი აბა?! გაუძალიანდება, და ჰკითხეთ ერთი თქვენს მშობლებს დედის წინ მორბენალ კვიცზე.

თქვენი არ ვიცი და, თათინას უკვე აღარ დასჭირდება დედის წინ მორბენალი კვიცის ამბის მოყოლა, რადგან იგი უსიტყვოდ გაჰყვება მშობლებს შინ და გაზაფხულამდე ნამდვილად აღარ გაადგამს ეზოდან ფეხს. არადა, როგორი მოსასმენია მეგობარი შაშვის გარეშე მთელი ზამთრის გატარება. მაგრამ, რას იზამს (პირობა ხომ მისცა, — რას ამბობ, აწი აღარასოდეს ვიცელქებო!), პირობას ხომ ვერ გატეხს...

და კიდევ:

ბავშვობაში მსმენია, შაშვებს მწუხრისას კვერცხბუდობა სჩვევიათო, ჰოდა, ერთიც ვნახოთ, გაზაფხულზე შაშვი თათინას ოთხი — ხუთი ბარტყის ჟღურტულითაც კი მიეგებოს!

აი, მერე კი ნახეთ, როგორ ახმატკბილდებიან ყველანი ერთად და, რამდენ სიხარულს მოჰგვრიან თათინას. თუმცა, რატომ მარტო მას, ყველას: ხეებს, ბალახებს, ყვავილებს, ჭიამაიებს, პეპლებს და რა თქმა უნდა თქვენც, ჩემო პატარებო.

ოღონდ, ეს ყველაფერი ადრიან გაზაფხულზე. ახლა შაშვს წინ ზამთრის ცივი და გრილი დღეები ელის, თანაც ჩვენგან შორს, ტყეში, მარტოს.

ვინ იცის, მიაწვდენს კი თავის ნაღვლიან ხმას ბუხრის პირას თბილად მოკალათებულ თავის დობილს?...

ჰოდა, მოდით ბავშვებო, ყველამ ერთად პირჯვარი გადავიწეროთ და ამ ზამთარს, ჩვენს პატარა ჩიტს, ღმერთის წყალობა ვუსურვოთ.

# ზღაპარი თევზისა, თუ როგორ ასწავლა სოფელს შრომა

არც რა იყო არაფრისა, არც რა ჰქონდათ არაფრისი, ამბავ იყო ზღაპრად თქმული, ამ მთისა და ამ ბარისი. პატარა სოფელი იყო ერთ ხეობაში გაშენებული. თუმცა, რაღა გაშენება ეთქმოდა სოფელს და იქ მცხოვრებთ. გაშენება ხომ სახლის აშენებას, ხეხილის დარგვას, ვაზის ჩაყრას ნიშნავს. იქაურთ, არც სახლ — ფუძე გაემართათ და არცა რა ბაღ-მამული. ხელის გამოღებასა და ოფლის ღვრას გაურბოდნენ, თორემ მხარე, სადაც ისინი სახლობდნენ, ისეთი მოსავლიანი და ბარაქიანი იყო, თუ გსმენიათ, სიმიდის მარცვალი უკუღმა რომ ჩააგდო, წაღმა ამოვაო, სწორედ რომ იქაურობაზე იყო ნათქვამი. ისხდნენ ადრიან დილიდან გვიან საღამომდე თავთავიანთ შემომტკავლულში, რომ იტყვიან, მზის ხახაში ჩაცვენილნი და მუდამ ღმერთის წყალობაზე ეჭირათ თვალი. წყალობას ცოტაოდენი ბედიც უნდა ახლდეს თან. ამდენ უსაქმურ ჯდომას, წოლას და დგომას — ძღომაც ხომ უნდა? ჰოდა, მდინარეც იქვე, ხელის განაწვდენზე ჩამოუდიოდათ. ადგებოდნენ, ჩაჰყოფდნენ მდინარეში ხელს და ისე წუმწუმ ამოჰყავდათ თევზი, რომ ლიფსიტები ფარფლის დაკვრასაც ვერ ასწრებდნენ. ეს დაზამთრებამდე. ზამთრობით, ყველა შველი და ირემი მათი სოფლის მდინარის ნაპირებიდან სვამდა წყალს.

წყალობაცაა და წყალობაც, და აი, ერთ დილით, მდინარის ნაპირს ერთი თევზი მიადგა. თევზმა ისეთი ფართქალი ასტეხა, რომ იტყვიან, ქუდზე კაცმა მდინარისკენ იბრუნა პირი.

— რას შვრებით, გამაგებინეთ ვინ ხართ, რა რჯულ-ჯილაგისანიო, — ფართქალებდა თევზი, — ვერა ბატონო, ჩემს ჯიშს — ნაგრამს თქვენ ვერ გაგაჟუჟვინებთო! — თევზი ადგა, მდინარეს ფარფლი მოუსვა და ლიფსიტ-ქვირითიანად იქაურობას გასცილდა.

ვერცრა სიტყვა გაიგო სოფელმა თევზის პირიდან თქმული და ვერცრა მისი გულისწყრომისა. კვლავ წინანდებურად მიუბრუნდნენ თავთავიანთ კერებს. დღის ჩანასვალზე მზემაც ჩვეულებრივად იწყო სხივთა ამოკრება სანახებიდან.

მეორე დღეს, სისხამზე მიაშურა სოფელმა მდინარის ნაპირს. რა ბადე არ მოისროლეს შიგ. რა გოდორი და რა ფაცერი არ ჩააგდეს. მაგრამ, ერთი ლიფსიტა რაა, ისიც კი ვერ გამოსძალეს წყალს.

ასე მესამე, მეოთხე დღესაც.

მეხუთე დღეს კი, იცოცხლე, მოჰკიდეს ხელი ვინ ხვედასა და ვინ ნაჯახს. ვინ წალკატსა და ვინ თოხს. ვინ ჭაღვსა და ვინ ნამგალს. გავიდნენ კარში. გაკაფეს ტყე უსიერი და კლდე ქორაფისა. შეაბეს უღელი და გამართეს ერქვანი. მოხნეს მიწა ყანდი და მიწა უშალი. ჩაყარეს ვაზი და ნერგი ხილნარისა, მიწას შემოარტყეს ყანა პურეულის, ქვევრებს - მოძახილი მთვრალი საწნახლისა...

გამიგრძელდა,

ზღაპარს ავყევი.

კიდევ კარგი, თქვენ მაინც იცით, რომ ზღაპარს გიყვებით და არ მომთხოვს იმ ქვეყნის საძებრად წასვლას.

გინდათ, წავიდეთ რა;

გგონიათ, ვიპოვით?!

მორჩა ზღაპარი.

ბონდო მაცაბერიძე

# სოფელი სამსოკოთა

## (ზღაპრები)

მხატვარი კოტე მაცაბერიძე

მაკეტი და დიზაინი
*ბონდო მაცაბერიძის*

კომპიუტერული უზრუნველყოფა
*ლევან ბეგლარიშვილის*

გამომცემლობა— ბაკმი

საქართველო, თბილისი 2006წ.

E-mail bakmipublishing@posta.ge